№978 2015 წლის 15 მაისი ქ. თბილისი

შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ მიერ საქონლის (შესაბამის თანმდევ მომსახურებასთან ერთად) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

გარდაბნის მუნიციპალიტეტში 230 მეგავატი სიმძლავრის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის (რომლის მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში გაშვება დაგეგმილია 2015 წელს) ჯეროვნად ოპერირების უზრუნველსაყოფად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შპს „გარდაბნის თბოსადგურს“, 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მიენიჭოს აღნიშნული თბოელექტროსადგურის ფუნქციონირებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების და მარაგების (შესაბამის თანმდევ მომსახურებასთან ერთად) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების უფლებამოსილება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**